პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა 16 ივლისი 1978 წ. № 166 (17210) ფასი 2 კაპ.

საკადესის ცნობა

„მოლნია-1“

1978 წლის 14 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირგაბმულობის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-1“. კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-1“ გათვალისწინებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოს შორეული სატელევიზიო-სატელეგრაფო რადიოკავშირის ხისტემის ექსპლოატაცია, აგრეთვე გადასცეს სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამები „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში, რომლებიც განლაგებულია უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში.

თანამგზავრი გაყვანილია მაღალ ელიფსურ ორბიტაზე, რომლის აპოგეა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უდრის 40.660 კილომეტრს და პერიგეა სამხრეთ ნახევარსფეროში 650 კილომეტრს. თანამგზავრის მოძრაობის პერიოდი ულრის 12 საათსა და 17 წუთს, ორბიტის დახრილობა — 62,8 გრადუსს.

თანამგზავრზე, ტელევიზიის პროგრამების გადაცემისა და შორეული მრავალარხიანი რადიოკავშირის განხორციელებისათვის განკუთვნილი აპარატურის გარდა, მოთავსებულია ხაკომანდო-სახაზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე თანამგზავრის ორიენტაციის, ორბიტის კორექციისა და ენერგოკვების სისტემები.

მიღებული მონაცემების თანახმად, თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს, „მოლნია-1“ თანამგზავრის მეშვეობით კავშირის ხეანსები მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრარული პოლიტიკა და სოფლის კომუნისტები

ვანსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი პათოსით დაიწყო მეათე ხუთწლედის მეორე ნახევარი. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულმხურვალედ, დიდი ინტერესით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მოცემულია ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე.

პარტია გვასწავლის, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება და აღმავლობა საერთოხახალხო საქმეა. საყოველთაო საზრუნვაა. ეი რატომ არის, რომ დღეს ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი არავინ არ არის გულგრილი: არც სოფლის მშრომელები, რომელნიც უშუალოდ დოვლათს ქმნიან მინდვრებსა თუ პლანტაციებში, ვენახებსა თუ ფერმებში, არც მრეწველობის მუშაკები, რომლებიც სოფლის მეურნეობის შეკვეთებს ასრულებენ, და არც ჩვენი მეცნიერები, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებზე რომ მუშაობენ. ამ დარგის აღმავლობით დაინტერესებულია თითოეული საბჭოთა ადამიანი, და ეს სხვანაირად არც შეიძლება. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება ხომ დიდად არის დამოკიდებული სახოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხიუხვეზე!

— მთავარი ამოცანა, რომელსაც სოფლის მეურნეობას ვუსახავთ, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ივლისის პლენუმზე, — ის არის, რომ მიპაღწიოთ ყველა მისი დარბის ყოველმხრივ დინამიკურ განვითარებას, სურსათითა და სოფლის მეურნეობის ნედლეულით ქვეყნის სრულიად მოსახარებლად“...

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ყოველმხრივ, ღრმად და მეცნიერულად არის გაანალიზებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ განვლილ დროში სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გაწეული მუშაობა, განზოგადებულია მეტად მდიდარი დადებითი გამოცდილება, ამასთან აღნიშნულია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო დონე ჯერ კიდევ არ შეეხაბამება ხაზოგადოების სწრაფად მზარდ მოთხოვნილებებს, რომ მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მეტი განმტკიცება სჭირდება.

ერთი ხიტყვით, ჩვენი პარტიის პროგრამა, მისი გეში სოფლად მეტად მასშტაბურია და პასუხსაგები. იგი მოითხოვს განსაკუთრებულ ხაზრიანობას, მუშაობის ხანიმუშო ორგანიზაციას, ყველგან, ყველა უბანზე და ყველა რგოლში დისციპლინისა და მომთხოვნელობის გაძლიერებას, ადამიანთა ინიციატივისა და აქტიურობის შემდგომ განვითარებას.

ეი რატომ ოქვა პლენუმზე ხაზგასმით, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს პარტიული ხელმძღვანელობის უფრო მაღალი დონე და მასებში მუშაობის უფრო სრულყოფილი მეთოდებიც უნდა შეესაბამებოდეს. ეს კი დღის წესრიგში აყენებს ჩვენი პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მხრივ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფას. როგორც იტყვიან, საქმის თავი და თავი ახლა ის არის, რომ ივლისის პლენუმის უდიდესი აზრი და სულისკვეთება სწრაფად გავრცელდეს ყველგან, თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა სწორად მონახოს თავისი ადგილი ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლის დიდ მფუოობრეში.

ხაქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ბოლო წლებში პარტიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის მშრომელთა დარაზვის ხაუკეთესო გამოცდილება შეიძინეს, პლენუმის მიმდინარეობის პირველ დღესვე დაიწყეს მისი მახალების ფართო შინაარსიანი პროპაგანდა. ეს პროპაგანდა უნარიანად უკავშირდება სოფლად მუშაობის ამ ნამდვილად დამკვრელურ დღეებს, იმ სიძნელეებთან ჭიდილს, რომლებიც არნახული უამინდობით შეიქმნა, როცა საჭირო გახდა დაგვიანებული თესვის, სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლის, ხასუქების შეტანის, რწყვის, პირუტყვისათვის საკვების დამზადების დასაჩქარებლად ქუდზე კაცი გამოსულიყო.

მისასალმებელია, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია გონივრულად იყენებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის როგორც ძველ ნაცად, ისე ახალ საინტერესო ფორმებს, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა და პლენუმის სხვა მასალების განმარტება უშუალოდ მინდვრად, მეცხოველეობის ფერმებში, ჩაის პლანტაციებში ხდება, რომ ხაამისოდ იყენებენ პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა ხაუბრებს, ლექციებსა და მოხსენებებს, კარგად ორგანიზებულ კითხვა-პასუხის ხალამიებს.

აზრთა გულახდილი გაზიარება, პლენუმის მიერ წამოყენებულ დებულებათა ადგილობრივ პირობებთან და მდგომარეობასთან დაკავშირება ხელს უწყობს, რომ თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციაში, თითოეულ ბრიგადასა თუ რგოლში შემუშავონ კონკრეტული ღონისძიებანი შრომის დიდი ეფექტიანობის მიღწევისათვის, ყოველი მტკაველი მიწის რაციონალური გამოყენებისათვის. საჭიროა ზუსტად განსაზღვრა, თუ სად რა არის გასაკეთებელი პრაქტიკულად პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, როგორ უფრო გონივრულად ამოქმედდეს არსებული რეზერვები და რესურსები, როგორ დაინერგოს ყველგან მეურნეობის გაძღოლის მოწინავე ფორმები და მეთოდები. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, თუ როგორ მიმდინარეობს ბრძოლა ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების შესახრულებლად რესპუბლიკაში სამეურნეო-ბათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სახოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განხორციელებლად. სწორედ სოფლად ამ ერთ-ერთი მთავარი ღონისძიების გაკარგვას ერთხელ კიდევ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა.

დღეს მთელი ძალით უნდა გამორჩდეს კომუნისტის მოწინავე, ავანგარდული როლი. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა პლენუმზე, შეჯიბრებას სოფლის კომუნისტები უნდა მეთაუორობდნენ. „ხაპირო.ა. რომ სოფლის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ და კომუნისმამ უფინარეს ყოველისა თვითონ ღრმად გაიაზროს თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული კოლიტიკის ამოცანების არსი. მათი გადაწყვეტის გზები“. სწორედ კომუნისტები უნდა იყვნენ პლენუმის იდეების გულმხურვალე პროპაგანდისტები. ისინი მოვალენი არიან, რომ პარტიული დარწმუნებისა და კომუნისტური აღზრდის მეთოდებით შთაგონონ ფართო მასებს დასახული პროგრამის შესრულებისათვის თავდადებული, ინიციატივანი მუშაობა.

„კომუნისტის“ ფოსტას ამ დღეებში თან მოჰყვება წერილები პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან, სადაც ლაპარაკია სოფლის კომუნისტთა ხადღეიხო საზრუნავსა და მოგალეობაზე, იმის აუცილებლობაზე, რომ ყოველი კომუნისტი უნარიანი ორგანიზატორი, ღრმად შეგნებული და მტკიცე დისციპლინიანი იყოს, რომ იგი უფრო მეტ შეურიგებლობას იჩენდეს მუქთახორებისა და შრომის დისციპლინის დამრღვევეთა მიმართ, ებრძოდეს უყაირათობასა და მფლანგველობას, საქმისადმი გულარხეინ და დაუდევარ დამოკიდებულებას.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობათა გამგეობებთან და საბჭოთა მეურნეობების დირექციებთან ერთად პრაქტიკულად შეუდგა პლენუმის იმ ერთ-ერთი მთავარი მითითების განხორციელებას, რომ სოფლის მეურნეობა განმტკიცდეს ნიჭიერი, მცოდნე და ენერგიული კადრებით. როგორც ახალციხის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან გვიყოობინებენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მახალების მიხედვით აქ უკვე რამდენიმე დღეა შეადგინეს სპეციალური ხაუმუშაო გეგმა, რომელიც შინაარსიან მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს ითვალისწინებს.

ამ დღეებში ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიხედვით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის კონკრეტულ ხაბრძოლო ამოცანებს დასახავს. მალე გაიმართება ხაოლქო, რაიონული, საქალაქო პარტიული კომიტეტების პლენუმები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, ხადაც უფრო ზუსტად განისაზღვრება კომუნისტთა ამა თუ იმ კოლექტივის, თითოეული კომუნისტის მონაწილეობა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებული აღმავლობის პროგრამის განხორციელებაში. ამოცანა ის არის, რომ პლენუმები და კრებები ყველგან მაღალ დონეზე, ორგანიზებულად, ხაქმიანად გაიმართოს, ხალად და ობიექტურად შეაჯამონ განვლილი მუშაობა, ამასთან გულახდილად, ფაქტების შეულამაზებლად ხააშკარაზე გამოიტანონ მთელი რიგი ხერიოზული ნაკლოვანებანი. რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია სოფლად.

ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მრავალგზის თქმულა, რომ პარტიის ზოგიერთი ხასოფლო რაიკომი ღრმად ვერ სწვდება სოფლად მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს. ზოგჯერ ვერ ხედავს ხასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი ზრდის შესაძლებლობებს. ხარვეზებია კადრების შერჩევაში, შეიმჩნევა ფორმალიზმი ხოციალისტურ შეჯიბრებაში, მასობრივ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობაში. როგორც ამ ერთი თვის წინათ ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე ითქვა, უამინდობით გამოწვეულ სამეურნეო სამუშაოთა ჩამორჩენას ყველა რაიონში, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში როდი დაუპირისპირეს მონდომება და ვაუკაცური გარჯა.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ჭეშმარიტი ბრძოლა ის იქნება, რომ ყოველმხრივ სანიმუშოდ ჩავატაროთ მიმდინარე სახოფლო-სამეურნეო სამუშაოები: პურეულისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება, ჩაის ფოთლის კრეფა, ვენახების დამუშავება და სხვ. ამჟამად ერთერთი ყველაზე პასუხსაგები კამპანიაა პირუტყვისათვის საკვების დამზადება. მაგრამ, სამწუხაროდ, თელავის, გეგეჭკორისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

დღეს განსაკუთრებით ხაჭიროა ორგანიზებულობა და დისციპლინა.

— სოფლის კომუნისტები, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე, — დიდ ბრძოლისუნარიან არმიას შეადგენენ. მისი საფუძველია პირველადი პარტიული ორგანიზაციები. სწორედ მათ აკისრიათ უშუალო პასუხისმგებლობა საწარმოო და აღმშრდელობითი ამოცანების გადაწყვეტისათვის. სწორედ მათს მუყაითსა და გამიზნულ მუშაობაზე, ადამიანთა აღფრთოვანებისა და ორგანიზების უნარზეა გადამწყვეტწილად დამოკიდებული პარტიის აგრარული პოლიტიკის თანმიმდევრული და ეფექტიანი განხორციელება.

ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განვავითაროთ კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება

მახარაძის რაიონში გაიშალა კომპლექსური ხოციალისტური შეჯიბრება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის უხვი მოხავლის მიღწევისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შრომითი თანამეგობრობა აკავშირებს სოფლის მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს, სხვა ორგანიზაციების კოლექტივებს.

ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის წარდგინებით განიხილა მახარაძელთა დადებითი გამოცდილება და მოიწონა იგი. ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის მახარაძის რაიკომი და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომისია ქმედითი ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება 1978 წელს 75 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფისა და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. რაიონის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კოლექტივები ჩაებნენ კომპლექსურ შეჯიბრებაში პრინციპით „ჩაის პლანტაცია-ტრანსპორტი-ჩაის ფაბრიკა“, და. გამოიყენეს და ახალი შინაარსით შეავსეს ლენინგრადის სატრანსპორტო კავშირის საზღვაო, სარკინიგზო, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის პროგრესული ფორმა.

ბრძოლა მაღალი ხარისხისათვის ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით წარმოებს. ზუსტად იცავენ ჩაის ფოთლის კრეფის, ფაბრიკებში ნედლეულის დაუგვიანებლად მიღების, ტრანსპორტირებისა და მიწოდების წესებსა და ვადებს, ხორციელდება ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამასთანავე დიდი ყურადღება ეთმობა შეჯიბრების მონაწილეთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს.

კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების პირობები შეიცავს ბევრ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების ეფექტიანობა, ამაღლებას, ხარისხის გაუმჯობესებასა და მეჩაიეებისათვის შრომის, დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების კარგი პირობების შექმნას.

როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, კომპლექსურ შეჯიბრებაში ტრანსპორტიც და ვაჭრობაც ეაქტიური ჩაბმა ნაკარნახევი იყო იმით, რომ რაიონის არასასოფლოსამეურნეო საწარმოთა კოლექტივებში ჩაისახა მთელი რიგი მნიშვნელოვანი თათსონობები, რომლებიც მოიწონეს და ფართოდ გავაცელეს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიამ. მაგალითად, მახარაძის მაღაროთსამმართველოს, რაიონული გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ტუნგის კანტორისა და სხვა დაწესებულებების კოლექტივებმა შეიობა იკისრეს ჩაის პლანტაციებისა და ფაბრიკების მუშაკებისადმი, მოაწყვეს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით მთელი სეზონის მანძილზე მკრეფავთა პლანტაციებში გადაყვანა და ოკან დაბრუნება, ჩაის ფაბრიკებში დამზადებული ნედლეულის მიწოდება მთელი სეზონის მანძილზე. კომპლექსური შეჯიბრების აქტიური მონაწილენი გახდნენ აგრეთვე მახარაძის რაიკოოპკავშირის მუშაკები, რომლებსაც უშუალოდ პლანტაციებში მიაქვთ ცხელი საჭმელი, და მედიცინისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები, რომლებიც სამუშაო ადგილზე ემსახურებიან მეჩაიეებს.

დიდ მუშაობას ეწევა შეჯიბრების ოპერატიული ხელმძღვანელობის რაიონული შტაბი, რომელიც შექმნილია ჩაის ნედლეულის შეფუთრებლად და ოდანაკარგად მიღებისა და გადამუშავებისათვის და ფაბრიკებში მისი განაწილებისათვის.

მორალური და მატერიალური სტიმულირების საგულდაგულოდ მოფიქრებული ღონისძიებანი ხელს უწყობს კომპლექსური შეჯიბრების ყველა მონაწილე ჭეშმარიტ განაკოფის თანამშრომლობის წარმატებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მახარაძის რაიონის სხვადასხვა დარგის მუშაკთა შრომითა თანამეგობრობის ყველაზე სრულად ასახავს თანამედროვე ეტაპზე შრომითი მეტოქეობის არსი და შინაარსი.

მეჩაიეობის მომართულების ოლქების, ქალაქებისა და რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს, აგრეთვე სამინისტროებსა და უწყებებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ მიაღწიონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კოლექტივების თანამეგობრობის განმტკიცებას, ერთსულოვნებისა და ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფას, გაალიერონ მუშაობა შრომისა და საშვესრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკური გაზეთების, რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ სისტემატურად გააშუქონ და პროპაგანდა გაუწიონ რესპუბლიკაში შრომითი მეტოქეობისა და კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილებას. (საქინფორმი).



გოლნისელთა ნოგათი

საადრეო კარტოფილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა განაღდებულია

ბოლნისი. (საკ. კორ.). წლეულსაც ისე, როგორც შარშან, კარტოფილის ჭეშმარიტად უხვი მოსავლით ისახელეს თავი ბოლნისის რაიონის მშრომელებმა.

გუშინ ბოლნისელებმა დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. — სამმბოლოს უპატაკეს სახელმწიფოსათვის საადრეო კარტოფილის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულება. მოყვანილია 33 ათასი ტონა კარტოფილი. ამაღლდა სუპერტარო მოსავლიანობა, შარშან 126 ცენტნერი იყო, წლეულს 131 ცენტნერია. წარმატებით მიმდინარეობს კარტოფილის გაგზავნა საკავშირო ფონდში.

ეს არის ბოლნისელთა პირველი დიდი საქმიანი პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაზე.

პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა მეკარტოფილეებმა გადაწყვიტეს სასელმწიფოს დამატებით კიდევ ათიათას ტონაზე მეტი კარტოფილი მიყიდონ.

სასასელოდ იშრომეს ტრანსპორტელებმა — რკინიგზელებმა და საქსოფლტექნიკის რაიონული განყოფილების ავტომძღოლებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს კარტოფილის გამოზიდვა მინდვრიდან და დანიშნულების ადგილზე ჩატანა.

სიტყვის ხალხი

ზუგდიდის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. 10 ივლისისათვის გეგმით გათვალისწინებული 290 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 314,1 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება, ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავჯდომარემ ი. კუტალიამ.

16 ივლისი მეტალურგის დღეა

ერთდის რუსთაველთა ლითონი

შავ მეტალურგიას ხავსებით ხამართლიანად უწოდებენ ინდუსტრიის ერთ-ერთ ხაძირკველს, ხალხო მეურნეობის ხერხემალს. მისი განვითარება ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, პირობებს უქმნის ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

ხუთწლედის მესამე წელს მეტალურგებს დასახული აქვთ დიდი ამოცანები, რომ გაზარდონ შავი ლითონების ნაგლინისა და მილების წარმოება, განახორციელონ ამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებანი.

შესანიშნავი მაჩვენებლებით ხვდება თავის პროფესიულ დღეასასწაულს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი.

ხუთწლედის მესამე წლის ექვსთვეში მარტენის საამქროს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 2800 ტონაზე მეტი ლითონი გამოადნო.

ხურათზე: მარტენის საამქროს მოწინავე მეტალურგები (მარცხნიდან მარჯვნივ) მეფოლადეები თანაშემწე მევლუდი გონგაძე, მეფოლადეები სოციალისტური შრომის გმირი ოთარ ლომაძე და იური გურგენიძე. ყოველი მათგანის ანგარიშზეა 500 ტონა ზეგეგმით ფოლადი.

3. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

„კოლმეურნეობებიდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 10 აპრილის გრძანებულებაში „კოლმეურნეობებიდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1965 წელი, № 15, გვ. 206; 1970 წელი, № 5, გვ. 41):

პირველი მუხლის „ა“ პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა“) სასოფლო-სამეურნეო წარმოებისაგან, მომსახურების გაწევისა და დამხმარე საწარმოებისა და სარეწაგებისაგან მიღებული კოლმეურნეობის წმინდა შემოსავალი, შემოსავლის იმ ნაწილის გამორიცხვით, რომელიც შეესაბამება რენტაბელობის 25 პროცენტს, აგრეთვე კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში მოცემული წლისათვის გაანგარიშებულ გადასახადებს“;

მე-3 მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დასაბეგრი წმინდა შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადი გამოინგარიშება დიფერენციერებულად მეურნეობის რენტაბელობის დონის მიხედვით, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს განაკვეთი 0,3 პროცენტის ოდენობით 25 პროცენტზე მეტი რენტაბელობის თითოეული პროცენტისათვის, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა დასაბეგრი წმინდა შემოსავლიდან“;

მე-8 და მე-9 მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“.

2. ეს გრძანებულება ძალაში შედის კოლმეურნეობების 1978 წლის მიღებული შემოსავლის დაბეგვრის დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პიოტროვსკი.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 14 ივლისი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

14-15 ივლისს გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის შედეგები;

2. ახალგაზრდობის დაკენების უნარიანი მოწყობის საქმეში ფიზიკურტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის როლის ამაღლებისათვის რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები;

3. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუდმივი კომისიების შესახებ.

ინფორმაცია პირველ საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს „საქართველოს“ პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკის ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა 1978-1980 წლების გეგმის პროექტი.

განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ხეცალიანი, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ფილია, ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მუშა ნ. გიორგაძე, საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი მ. ბეკაძიძე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეცხოველე კ. მაისურაძე, ცხინვალის ბედგაგიორგი ინსტიტუტის სტუდენტი ლ. კოდალაევა, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური კომკავშრომის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მ. წიკლაური, საქართველოს ალკკ ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ა. კურდოგლიანი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი დ. დვალიშვილი.

ღონისძიებათა გეგმა ერთხმად მტკიცდება.

მოხსენება მეორე საკითხზე გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. ორჯონიკიძემ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი, კომკავშირის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი მ. მაღრაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ზ. ლომაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მშრ სტულიად საკავშირო კომპლესის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე გ. ბეჭვაცაბაია, საქართველოს ალკკ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ცხოვრებოვი, საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი თ. შერგელაშვილი, საქართველოს ალკკ წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. სამურგანოვი, საქართველოს ალკკ ახარის საოლქო კომიტეტის მდივანი ც. ტაბაძე, საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. კალანდია, საქართველოს ფიზიკურტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე ა. ციბაძე და სხვები.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუდმივი კომისიები.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. შარტავა. (საქინფორმი).

მაღალი მომთხოვნელოგით

14 ივლისს გაიმართა საკავშირო ბროფსაბჭოს პლენუმი. პლენუმმა განიხილა პროფესიული კავშირების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“.

შეკრებილთა წინაშე მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. შიბაევმა.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა პროფკავშირები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის წარმატებით შესრულებაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ნ. ა. პეტროვიჩი. (საკინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

მეტალურგები — სოფელს

ჩვენი წვლილი

არ მეგულება ისეთი შრომითი კოლექტივი, სოფლად იქნება თუ ქალაქად, სადაც ახლა მაჯელობის მთავარი თემა არ იყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ დამთავრებული პლენუმის შედეგები, სადაც არ სახავდნენ ახალ ღონისძიებებს ამ პლენუმის დადგენილების შესასრულებლად. ეს ბუნებრივიც არის, სოფლის მეურნეობის განვითარება ხომ ხალხის კეთილდღეობის ამაღლების აუცილებელი პირობაა. ამიტომ მეტალურგთა ტრადიციული ზეიმის დღესაც, ჩვენი ფიქრები კვლავ იქლისის პლენუმის დადგენილების ირგვლივ ტრიალებს.

პლენუმმა სოფლისათვის დახმარების დიდი ამოცანები დაუსახა მრეწველობას, რაც მძიმე ინდუსტრიის მუშაკებმა ჩვენი შემდგომი მოქმედების მთავარ საბრძოლო პროგრამად აღვიქვით.

გონების თვალს რომ ვაცლებ, თუ ჩვენ, მეტალურგები, რას ვაკეთებთ უშუალოდ სოფლის მეურნეობისათვის, უფრო ნათლად მესახება ეს წვლილი, რომელიც სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებაში შეგვაქვს. რუსთაველები აწვდიან სოფელს მილებსა და ნავლინს, მოთუთიებულ მავთულსა და ქიმიკატებს. სოფლის შეკვეთების შესრულებაში ქარხნის მთელ კოლექტივს უდევს წილი.

ყველას მოეხსენება, რომ ამჟამად რესპუბლიკაში უჩვეულო ტემპითა და ფართო მასშტაბით ვითარდება მევენახეობა. მთელი ძალით არის გაჩაღებული ბუშაობა ახალი ზვრების გასაშენებლად. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი საამქრო. აქ ვამზადებთ ეგრეთწოდებულ მოთუთიებულ მავთულს შპალერზე ვაზის გასაშენებლად. წლიულს მარტო 6 თვეში 1.750 ტონა ასეთი მავთული მიეგზავნოდეთ გურჯაანის, თელავის, მარნეულის, გორის, ზესტაფონის, სოხუმისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს.

ცნობილია, ვენახში ბეტონის ბოძებს მავთულის გასაჭიმად ხმარობენ, მაგრამ იმდენად ბევრი ბოძია საჭირო, რომ არ ხერხდება მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება. ამას წინათ თელავის რაიონის ხელმძღვანელებმა გვთხოვეს დახმარება და ჩვენ ნაგლინის ნარჩენებისაგან შეკეთდეთ, დავამზადეთ და გავუგზავნეთ 5 ათასზე მეტი ლითონის სარი.

სოფლისათვის ჩვენი დახმარება მარტო ამით როდი ამოიწურება. ფართოდ იყენებენ სასოფლო მშენებლობაში არმირებულ ფოლადს, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ. განვლილ ნახევარ წელიწადში სულ 50 ათას ტონამდე ასეთი პროდუქცია დავამზადეთ და დავაგზავნეთ მთელ კავშირში. მისი მეხუთედი ნაწილი რესპუბლიკაში დარჩა. საარმატურე რკინა მიიღეს მახარაძის, დმანისისა და მრავალი სხვა რაიონის მშენებლებმა.

სოფლისადმი ჩვენი დახმარება მარტო მატერიალური ხელშეწყობით არ ამოიწურება. მათ სხვა მხრივაც ვუდგევართ მხარში. ხშირად გავდივართ შაბათობაზე ბალახის სათიბად. წლიულს საამქროს კოლექტივმა 10 ტონა თივა დაამზადა და ჩაბარა გარდაბნის რაიონს, რითაც თავისი წვლილი შეიტანა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებაში.

საერთოდ 6 თვეში 1000 ტონამდე წვრილსორტული ნაგლინი მივეცით სამშობლოს გეგმის გადამეტებით, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი მაღალია. ქარხანაში წვრილსორტული ნაგლინის საამქრო ერთადერთია, საიდანაც მთელი ნაწარმის თითქმის ნახევარი ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გადის.

როცა ჩვენს მიერ მიღწეულ ამ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ნათლად ვხედავთ, რომ ეს სულ ცოტა ორმა გარემოებამ განაპირობა. ერთია საწარმოს კულტურის ამაღლებისათვის, კერძოდ მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის ფართოდ გაჩაღებული მუშაობა.

მეორე გარემოებაა მტკიცე ერთგულება თვით ჩვენი ქარხნის წიაღში წარმომობილი თაოსნობისადმი „არც ერთი ჩამორჩენილი და უფიციალური ჩვენ გვერდით", ყველგან და ყველაფერში წესრიგის დამყარებისათვის" თანმიმდევრულმა ბრძოლამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ წლიულს საამქროში არ გვქონია საზოგადოებრივი, შრომისა თუ საწარმოო დისციპლინის სერიოზული დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

— შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები, მხარში ამოვუდგეთ ჯარტის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღორძინების პროგრამის განხორციელებაში — ასეთია ჩვენი ამოცანა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებულმა საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა წლის დამლევამდე გეგმის გადამატებით კიდევ 300 ტონა ნაგლინი გაუგზავნოს სოფელს.

ვ. გახოკიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წვრილსორტული საამქროს უფროსი.

საუკეთესო მილები — საუკეთესო „კოლოსი"

რუსთაველმა მეტალურგებმა ტაგანროგის კომბაინების ქარხანას გაუგზავნეს ახალი პროდუქციის დიდი პარტია — სწორკუთხედი და კვადრატული პროფილების მილები. მილები სპეციალურად მზადდება „კოლოსის" მაჯის კომბაინებისათვის. ამ ყველაზე თანამედროვე მანქანების გამტარუნარიანობა 6-8 კილოგრამამ მარცვლეულია წამში. მათზე იდგმება უფრო მძლავრი ძრავები.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსადენად საამქროში ხერგო ავთანდილაშვილის ცვლის ინიციატივით გაიშალა შეჯიბრება დევიზით „ხაუკეთესო მილები — საუკეთესო „კოლოსი".

მაღლობის წერილები უკვე მოდის ტაგანროგიდან რუსთავში. კოლექტივს, რომელსაც ხ. ავთანდილაშვილი ხელმძღვანელობს, ხაუკეთესო ხარისხის ცვლის ხაბატიო წოდება მიენიჭა.

დონის როსტოვის, ვოლგოგრადის, ხარკოვის, ხაზრანის, ტულის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები — აი მისამართები, სადაც ქართველ მეტალურგთა პროდუქცია იგზავნება.

საგეგმო დავალებათა დიდი ზაბჯრებით გამოუშვან მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია, ძველი დაუჯერთ საკვები, ანაც მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი საკვები", — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა.

პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა პირობა დადეს დაამზადონ ხაკვების წლინახევრის მარაგი.

ამ დღეებში ხაბჭოთა მეურნეობაში ხწრაფი ტემპით მიმდინარეობს სენაჟის მწვანე მასის აღება. **ხურათზე:** ხაკვების დამზადება თერჯოლის რაიონის რუფოთის ხაბჭოთა მეურნეობაში.

ო. ბერეზჩიკიძის ფოტო (ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცხოველეობა — დამკვრელური ფრონტი!

ამგვადებენ წლინახევრის მარაგს

„ყველაფერი, რაც მეცხოველეობამ უნდა მოგვცეს — მეტი ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები, — ხაბოლოო ანგარიშით, რა თქმა უნდა, იმაზეა დამოკიდებული, რომ ხაკმაოდ გვქონდეს ხაკვები, თანაც მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი ხაკვები", — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა.

პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა პირობა დადეს დაამზადონ ხაკვების წლინახევრის მარაგი.

ამ დღეებში ხაბჭოთა მეურნეობაში ხწრაფი ტემპით მიმდინარეობს სენაჟის მწვანე მასის აღება. **ხურათზე:** ხაკვების დამზადება თერჯოლის რაიონის რუფოთის ხაბჭოთა მეურნეობაში.

Ф. ბერეზჩიკიძის ფოტო (ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

მგზნებარე სიტყვით

დღითი დღე ახალ-ახალი კონკრეტული ხაქმეებით მდიდრდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის გაშლილი ხაყოველთაო-ხახალხო შეჯიბრების დღიური. სოფლის მშრომელთა ენთუზიაზმი თანდათან მატულობს და ეს იმის შედეგიც არის, რომ ადგილებზე აქტიური მუშაობა გაშალეს იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა. მათი მგზნებარე სიტყვა, როგორც ყოველთვის, ახლაც მიზანს აღწევს, დამკვრელური შრომის კიდევ უფრო დიდ ხურვილს აღუძრავს ველ-მინდვრებისა და ზვრების მშრომელებს.

სოფლის მშრომელები კიხრულობენ ახალ ვალდებულებებს და პირობას დებენ, რომ უთუოდ შეასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებით დასახულ ამოცანებს.

ურეჯლოთა ცხარე დღეები

დამკვრელური შრომის ცხარე დღეები აქვთ ურეჯლელ კოლმეურნეებს. 100-მდე აგიტატორმა და პოლიტინფორმატორმა საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებს მიაშურა. ამ დღეებში ჩვენმა მეჩაიეებმა სარეკორდო რაოდენობის ფოთოლი მოკრიფეს. ეს აქაური აგიტატორების ა. აჯიბას და ე. კუნკულიას დამსახურებაც არის.

კოლმეურნეობის მეცხოველეებმა ახალი ვალდებულება იკისრეს, გადაწყვიტეს წლიულს მიიღონ 324 ტონა რძე და საშუალოდ თითოეული ძროხის წველადობა 2.500 კილოგრამამდე გაზარდონ. თავიანთ ვალდებულებას გადახდეს მეკიტრუსეებმაც. ისინი წლიულს 400 ტონა ნაყოფის მოკრეფას გეპირდებიან.

პლენუმის მიერ დასახული ახალი ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის პარტიის რაიკომმა შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც პარტიის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის გაერთიანების გამგე თ. ციხესაძე ხელმძღვანელობს. ჯგუფის წევრები იყვნენ ჩვენს ბრიგადებში და პრაქტიკული დახმარება გაუწიეს ადგილობრივ აგიტატორებს და პოლიტინფორმატორებს.

შ. ვარშანიძე,
ხელვაჩაურის რაიონის ურეჯლის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

დროულად, უდანაკარგოდ

კოლიტინფორმატორებს ვ. ტაბატაძეს, ტ. კირეულიშვილს, გ. მაისურაძეს, დ. ლაბაზიძეს დიდი ყურადღებითა და ინტერესით უსმენენ მარტყოფისა და მუხროვანის მებოსტნეობა-მოჩრდილეობის, თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მშრომელები. მათ უკვე ჩაატარეს საუბრები თემებზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმი-კომუნიზმისათვის ბრძოლის ისტორიული მიჯნაა", „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებები", „ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე დიდი წვლილია ლენინური აგრარული პოლიტიკის შემმქმედებითს განვითარებაში", „ფართო გზა — ინტენსიური მეთოდი" და ა. შ.

აგიტატორებთან და პოლიტინფორმატორებთან ერთად პლენუმის შედეგებზე პოლიტიკურ მოხსენებებს კითხულობენ რაიონის მეურნეობათა და საწარმოთა ხელმძღვანელები: ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი მ. მდივანი, მებოსტნეობის საცდელი სადგურის დირექტორი მ. ქარდავა, მეფრინველეობის ზონალური საცდელი სადგურის უფროსი ა. ურუშაძე, საოთხპალოს მებოსტნეობა-მეგვინეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. კურტანიძე.

საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ ყველა ღონისძიებითა უზრუნველყონ მოსავლის დროული და უდანაკარგო აღება, წლევანდელი დავალებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო შესრულება.

ზ. მარგველაშვილი,
პარტიის გარდაბნის რაიკომის მდივანი.

კომუნისტთა მაგალითით

ჩვენს მეურნეობაში ძირითადი დარგია მეცხოველეობა და ამდენად მეურნეობის კომუნისტების უმთავრესი საზრუნავიც სწორედ მისი შემდგომი განვითარება-გაზრდაა. მაგრამ, კარგად მოგეხსენებთ, რომ ისევე, როგორც სახლი არ აშენდება უსაძირკველოდ, მეცხოველეობის განვითარებაზე ფიქრიც ზემოქმედი მტკიცე საკვები ბაზის გარეშე. ამიტომ საიმედო საკვები ბაზით მეცხოველეობის უზრუნველყოფა არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკურ ამოცანადაც მიგვაჩნია.

მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირმა, შუახანს გადაცილებულმა ი. რეხვიაშვილმა შარშან მოთიბა და მეურნეობას ჩაბარა 40 ტონაზე მეტი თივა. იგი ახლაც ჩვენში შემართებით შრომობს. სამაგალითონი არიან აგრეთვე კომუნისტები ი. გავაშელიშვილი, გ. ბერიშვილი და სხვები.

მართალია, ჯერ ივლისის პლენუმის შედეგები პარტიულ კრებაზე არ განგვიხილავს, მაგრამ კარგად ვიცნობთ ამ მასალას და ვახორციელებთ ორგანიზატორულ და პარტიულ-პოლიტიკურ ღონისძიებებს იმისათვის, რომ თითოეულმა მშრომელმა იცოდეს, თუ რა ამოცანებს სახავს პლენუმი ჩვენს წინაშე და პრაქტიკულად შეუდგეს პარტიის აგრარული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას.

ჯ. ბიჭაშვილი,
ონის რაიონის ღვინის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

სიცხე, წყალი და მოსავალი

მელიორატორთა, მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის საწარმოების ხელმძღვანელთა და კოლექტივთა საყურადღებოდ

სინოპტიკოსთა პროგნოზებით, დღეს საქართველოს მეტ წილ რაიონებში ტემპერატურა ნულს ზევით 35 გრადუსს უდრიდა. ათასჰექტარიანი ვენახები შეიძლებოდა დაგვერწყულებინა სიონის, სამგორისა და ხრამის წყალსაცავებიდან აოროქლილი ტენით, მაგრამ ეს წყლის ბუნებრივი დანაკარგებია. ვითარება მელიორატორთაგან განსაკუთრებულ ყაირათიანობას მოითხოვს. თავიდან უნდა ავიცილოთ ტენის არამწარმოებელური ხარჯვა სოფლის მეურნეობის კულტურების ინტენსიური რწყვის მთელი სეზონის მანძილზე.

სათავე ნაგებობანი, არხები, მილსადენები, სატუმბავი სადგურები, რაბები, დასაწვიმებელი დანადგარები, რესპუბლიკის მთელი სამელიორაციო მეურნეობა შეუფერხებლად და ეფექტიანად უნდა მოქმედებდეს. არ კმარა გზა გადავუღობოთ წყლის დანაკარგებს, საჭიროა ავამაღლოთ მინდვრებისა და პლანტაციებში მოწოდებული თითოეული კუბური მეტრი წყლის უკუგება. მარნეულის, გარდაბნის, მუროსტნეობის სხვა რაიონების მრწყველებმა შესანიშნავად იციან, რომ დასამწიფებელი პამიდორის ნათესების ნიადაგის გადამეტტენიანება ავნებს მცენარეს, გამოიწვევს მოწეული მოსავლის დიდ დანაკარგებს. ბევრად უფრო გაადიდებს მეჩაიეობის რაიონებში სარწყავი სისტემების მარგი მოქმედების კოეფიციენტს პლანტაციების რწყვა საღამოსა და ღამის საათებში.

რესპუბლიკის ხელოვნურ რეზერვუარებში წელს წყლის დიდი მარაგია. მარტო სამ ზემოხსენებულ წყალსაცავში არის 700 მილიონი კუბური მეტრი წყალი, 50 მილიონით მეტი, ვიდრე შარშან ივლისში იყო. ამოცანა ის არის, რომ იგი გამოვიყენოთ რაციონალურად და ვამრავლოთ ბაღ-ვენახების, მინდვრებისა და პლანტაციების დოვლათი.

მელიორაციისა და მექანიზაციის სამსახურებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი მიწათმოქმედებს, რომლებიც წელს უაღრესად დაძაბულად იბრძვიან მოსავლისათვის. ამინდის ჭირვეულობამ მეტისმეტად არახელსაყრელი პირობები შეუქმნა სოფლის მეურნეობას. სეტყვა კახეთში, თოვლი და სუსხი მთის რაიონებში, წყალდიდობა კოლხეთში, — ბუნების იმ მოვლენათა არასრული ნუსხაა, რომლებმაც შეაფერხეს საგაზაფხულო თესვა, ბაღ-ვენახების დამუშავება, ბოსტნეულისა და კარტოფილის თესვა, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება.

გასავლელი გვაქვს ზაფხულის ყველაზე გვალვიანი ნაწილი, რომლის დროსაც უმნიშვნელო და იშვიათი წვიმები იქნება. როგორც რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური იუწყება, აგვისტოში მოსალოდნელია გვალვა. ცხელი ამინდი დააჩქარებს ხილისა და ყურძნის დამწიფებას. ისევე როგორც კახეთის სარწყავ ვენახებში, ქართლის ბაღებშიც პროდუქტიული ტენის მარაგი ახლა ნორმის ფარგლებშია, ნაკლებია იგი ურწყავ მასივებში. ზვრებში დაჩქარდა მწვანე ოპერაციების ტემპი. შიდა და ქვემო ქართლში შემჭიდროებულ ვადებში უნდა ჩატარდეს ნათესების რწყვა, ნიადაგის გაფხვიერება, კულტივაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდა ბაღების რწყვასა და სასუქებით გახოყიერებას, დაჩქარდეს ბოსტნეულის მორიგი რგვა-თესვა.

ქართულ-კახეთისა და მესხეთ-ჯავახეთის მებაღეებმა, მევენახეებმა, მეკარტოფილეებმა საკუთარი გამოცდილებით იციან, რომ ბრძოლა სოფლის მეურნეობის კულტურების დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ყველაზე ეფექტიანია მაშინ, როცა იგი წარმოებს უშუალოდ გავრცელების კერებში.

მალე კახეთი თავთავიანთა მკის ესტაფეტას გადასცემს ქართლის რაიონებს. მხვნელ-მთესველებმა ახლა ყველანაირად უნდა აიცილონ თავიდან კომბაინებისა და სხვა ტექნიკის მოცდენა. „საქსოფლტექნიკის" განყოფილებებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მხვნელ-მთესველთა მთელი დამკვრელური მექანიზებული რაზმი მოამზადონ სათადარიგო ნაწილებით, საწვავ-საპოხი მასალებით. ჩვენი კოოპერატორები უშუალოდ საველე ბანაკებში, ჩაის პლანტაციებში ხსნიან „სასადილოებს". მეტი გემრიელი კერძი მეჩაიეებს, ისინი ხომ შრომაში ნამდვილი თაოსნები არიან! არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, 25 ივლისამდე ისინი მიაღწევენ შარშან ამავე თარიღისათვის მათ მიერ დაპყრობილ მიჯნას და ტემპის შეუნელებლად განაგრძობენ ჩაის ფოთლის კრეფას. ახლა ჩაის ბუჩქებზე კვლავ ჩნდება პროდუქტიული ყლორტები, ოპერატიულად წარმოებს ყრუ ყლორტების გაცლა, პლანტაციების დამულჩვა.

სარეველები უნდა მოისპოს სოიისა და ხიმინდის ნათესებში. თუ როგორა აქვთ ამ მიმართულებით საქმე ჩვენს მემინდვრეებს, გვიჩვენებს სათოხნი კულტურების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები, რომელიც დღეს დამთავრდება. მარცვლეულისა და პარკოსნების მოსავალი მთლიანად უნდა შევინარჩუნოთ. სწორი გადაწყვეტილება მიიღეს მესიმინდეებმა — მარცვლეულის მოსავალი აიღონ აგრეთვე იმ ნათესების ნაწილზე, რომლებიც სილოსისათვის იყო გათვალისწინებული. მართალია, ამან გაართულა საკვებმომპოვებელთა ამოცანა, მაგრამ ისინი წარმატებით აანაზღაურებენ სიმინდის მწვანე მასის დანაკლისს თავთავიანთა სანაწვერალო ნათესების ხარჯზე. საკვების მარაგის შესავსებად ახლა დროა მინერალური სასუქები შევიტანოთ მთის მდელოებზე.

... ამ დილით სამტრედიის რაიონში ავტორეფერიჟერატორებმა ათობით ტონა კიტრი მიიღეს თბილისში ჩამოსატანად. დედაქალაქსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში უხვად იგზავნება ჩვენი მიწის ბარაქა.

კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. როგორი ძნელიც უნდა იყოს წლევანდელი ზაფხულის პირობები, მიწათმოქმედნი უკან არ დაიხევენ. (საქინფორმი).

სენაჟი გეგმის გადამეტებით

ბარდაბანი. („კომუნისტის" კორ.). გეგმა-ვალდებულებით უნდა დამზადდეს 58.900 ტონა სენაჟი, აქედან დამზადებულია 26 ათასი ტონა სენაჟი.

გეგეჭკორი. („კომუნისტის" კორ.). კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სიტყვა საქმედ აქციეს. გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 7.000 ტონის ნაცვლად უკვე დამზადეს 7.100 ტონა სენაჟი.

ჩხიკორწყუ. („კომუნისტის" კორ.). საბოგადოებრივი მეურნეობის პირობა — წელს დამზადონ 5.000 ტონა სენაჟი — ფაქტიურად ვადამდე გაანაღდეს. დამზადებულია 5.435 ტონა სენაჟი.

თეთრი წყაროო. („კომუნისტის" კორ.) სულ დამზადებულია 21.039 ტონა სენაჟი. გეგმა-ვალდებულებით უნდა დამზადდეს 30 ათასი ტონა სენაჟი.

ქარელი. („კომუნისტის" კორ.). 15.000 ტონიდან დამზადებულია 8.900 ტონა სენაჟი.

ვადაზე ადრე

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა-ვალდებულება. ბორცის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება განაღდებულია 103,1 პროცენტით, რძისა — 110 პროცენტით, ხოლო ხორცის წარმოებისა — 107 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 429.379 ცალით მეტი ძროხა.

(„კომუნისტის" კორ.).

15 ივლისი

„პრავდის" ფურცლებზე

დნეპროპეტროვსკის საწარმოო გაერთიანების „სამხრეთის მანქანათმშენებელი ქარხნის" კონვეიერიდან ჩამოვიდა მემილიონე ტრაქტორი „ბელარუსი". ამასთან დაკავშირებით პირველ გვერდზე დაბეჭდილია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება გაერთიანების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

„მინდვრებისა და ფერმების მეტი პროდუქციისათვის" — ასე ჰქვია მეთაურ წერილს.

ჩვენი ქვეყნის მინდვრებში ჩაღდება ალოობა. მიწათმოქმედნი, რომლებიც გამოეხმაურნენ როსტოვის საბჭოთა მეურნეობის „ვიგანტის" კოლექტივის თაოსნობას, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ მოსავალი სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ, გადაჭრობებით შეასრულონ ხუთწლედის მესამე წლის გეგმები.

პარტიამ მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის წარმოების ზრდის კონკრეტული გზები დასახა. განმტკიცდება მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდება სარწყავი სავარგულების ფართობი. განაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობას, ხორცის წარმოების ზრდას.

სოფლის პარტიული ორგანიზაციები, — ნათქვამია მოწოდებაში, — ვალდებული არიან ფართოდ გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განმარტებისათვის. დარაზმონ სოფლის მშრომელები მათი განხორციელებისათვის. უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს მინდვრის სამუშაოებს, მანქანების მომზადებას ალოობისათვის, ამ ცხარე დღეებში ადამიანთა რაციონალურ განლაგებას. სწორად იქცევიან ის პარტორგანიზაციები, რომლებიც ხოციალისტურ შეჯიბრებას ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების, მოსავლის ხწრაფად აღების, დანაკარგების აღმოფხვრის ნიშნით წარმართავენ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზაფხულის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას ფურაჟის დასამზადებლად. ზეაღლადობისა და ხაქონლის წონამატების გასაოდებელად.

გაიმართა პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საოლქო კომიტეტის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შესაბამისად. გაზეთი მეორე გვერდზე ბეჭდავს პლენუმის ანგარიშს „სოფლის ახალი აღმავლობისათვის".

მშრომელთა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების სადღეისო ამოცანებზეა საუბარი წერილში „მილიონთა გაერთიანებული ხუფრა".

რუბრიკით „წერილის კვალდაკვალ" მკითხველი გაეცნობა გაზეთის ალმაათელი კორესპონდენტის ი. შპაკოვის წერილს. „როგორ ინაწილებენ დანაშაულს".

საერთაშორისო ინფორმაციის გვერდებში ყურადღებას იქცევს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ანატ. გრომაკოსა და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის გ. სტარუშენკოს სტატია „იმპერიალიზმი აფრიკის წინააღმდეგ".

გაზეთში უხვად არის წარმოდგენილი საკვლევარო, უცხოეთის და სპორტული ინფორმაცია.

ПРАВДА

ლენინური პარტიის ისტორიული II ყრილობის 75-ე წლისთავი

დიდი გამარჯვებების მედროშე

ჩვენი პარტია, ხაბჭოთა ხალხი ხაერთო-ხახალხო შემოქმედებითი შრომის ვითარებაში აღნიშნავენ რუსეთის ხოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიული მეორე ყრილობის 75-ე წლისთავს. ეს ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტური-მოძრაობის ისტორიაში. სწორედ ამ ყრილობაზე ლენინის მიერ შემუშავებულ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე შეიქმნა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, ბოლშევიკური პარტია, რომელსაც წილად ხვდა ყოფილიყო ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის, ხოციალიზმისა და კომუნიზმისათვის, კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის მედროშე.

პარტიის მეორე ყრილობის მუშაობა, ლენინური პარტიის შექმნა ემთხვევა ამ პერიოდს, როცა ქვეყანაში აზვირთებას იწყებდა უდიდესი ხახალხო რევოლუცია, რომლის უახლოესი ამოცანა იყო ეკონომიკა და აზიის რეაქციული ძალების ყველაზე მძლავრი დასაყრდენის—ცარიზმის დანგრევა. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო ყველაზე რევოლუციური ამოცანა „...რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის". მისი განხორციელება კი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად.

ბუნებრივია, რუსეთის პროლეტარიატს არ შეეძლო მის წინაშე დამდგარი ამოცანა ისტორიული მისიის შესრულება ძველი ტიპის, II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ძალებით. მართალია, ეს პარტიები თავიანთ თავს მარქსისტულს, მუშურს, სოციალისტურს უწოდებდნენ, მაგრამ მათს არც თეორიულ და არც პრაქტიკულ მოღვაწეობაში არაფერი იყო მარქსისტული, სოციალისტური და მუშური. ცხადია, ასეთი პარტიების ხელმძღვანელობაში მუშათა კლასის დატოვება მოასწავებდა მათს გაფრენას მუდმივი მონობისათვის, და ჩაშლას უეცადი მთლიანად რევოლუციის საქმეს.

მოახლოებული სახალხო რევოლუცია კი მბრძანებლურად აყენებდა ასეთი პარტიების გაელენისგან საუკუნეობით ნატანჯი და ნაწამები მშრომელების განთავისუფლებისა და მარქსიზმის პრინციპებზე იდეურად, პოლიტიკურად, ორგანიზაციულად და ტაქტიკურად მომზადებული ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნის ამოცანას. მაგრამ ასეთი პარტიის შექმნა ცარიზმის პოლიციური რეჟიმის მძვინვარებისა და სასტიკი რეპრესიების პირობებში განუზომლად დიდ სიძნელეებთან და რისკთან იყო დაკავშირებული.

მიუხედავად ამგვარი და მრავალი სხვა სიძნელისა, ვ. ი. ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა აირჩიეს არა ამ წიაწყლეებთან შერიგების, არამედ უფრო ძნელი გზა— „ბრძოლის გზა". ლენინისათვის ცხადი იყო, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მარქსისტული, პროლეტარული პარტიის შექმნის ძნელი და რთული ამოცანის გადაწყვეტა. „ჩვენ შემჭიდროებული რიგებით მივდივართ კლდე-ღრეჩოანი და ძნელი გზით, მაგრამ ხელიხელჩაკიდებულნი. ყოველმხრივ მტრებით ვართ გარშემორტყმული, და თითქმის მათ ცეცხლს ქვეშ გვიხდება სვლა". — ასე ახასიათებდა ვ. ი. ლენინი 1901 წლის გაზაფხულზე იმ პირობებს, რომელშიც უხდებოდა მას და მის თანამებრძოლებს ისტორიული საქმის კეთება — ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლა. ლენინი იყო ამ ბრძოლის მაორგანიზებელი, მისი სული და გული. სწორედ ამიტომ განიცადა მან ამ გზაზე ყველაზე მეტი დევნა, შევიწროება-პატიმრობა და გადასახლება. მაგრამ მეფის მთავრობის მხრივ გაძლიერებულ დევნას ალარ შეეძლო ლენინის მიერ დაწყებული საქმის შეჩერება.

რუსეთში პროლეტარული პარტიისათვის ბრძოლას აქვს თავისი ხანგრძლივი ისტორია. როგორც ლენინი აღნიშნავდა, მარქსისტული პარტიის შექმნის პროცესი მოიცავს XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან 1903 წლამდე პერიოდს. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მრავალ მნიშვნელოვან მოვლენას, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნისათვის წინამძღვრების მომზადებაში. კერძოდ, ასეთ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება XIX საუკუნის 70-იან წლებში მუშათა მოძრაობის საფუძველზე წარმოშობილი მუშათა პირველი კავშირები: „ჩრდილოეთ რუსეთის მუშათა კავშირი" და „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი". ეს კავშირები წარმოადგენდნენ მუშათა კლასის პირველ რევოლუციურ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს რუსეთში. სწორედ მათ წამოაყენეს „პირველად პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა თავიანთ პროგრამაში". მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელთანაც კიდევ უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთში ახალი ტიპის პარტიის შექმნა, ეს არის პირველი რუსული მარქსისტული ორგანიზაცია — „შრომის განთავისუფლების ჯგუფი", რომელიც დაარსებულ იქნა ვ. ვ. პლეხანოვის ხელმძღვანელობით ხაზღვარგარეთ 1883 წლის 25 სექტემბერს. ამ ჯგუფმა, როგორც ლენინი წერდა, „...მხოლოდ თეორიულად დაარსა სოცი

საერთაშორისო ცხოვრება

ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ

● ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ

14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესიამ. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ პლანეტის 82 ქვეყნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები და პარლამენტარები, მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სესიამ მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესიის მონაწილეებმა ერთხმულად მოიწონეს შემაჯამებელი დოკუმენტი — მოწოდება.

დიდად შეშფოთებული ვართ დაძაბულობის შენელების ბედით, რომელსაც სეროიზული საფრთხე შეექმნა გამალებული შეიარაღების ესკალაციის ახალი გეგმების გამო.

ამ ბოლო დროს გააქტიურეს მოქმედება იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიულმა ძალებმა, რომლებიც პროვოკაციულად ამლერებენ გამალებულ შეიარაღებას, საერთაშორისო ურთიერთობაში „ცივი ომის“ სულისკვეთებით მკაცრი კონფრონტაციის დაბრუნებას. ეს კონცენტრირებულად ისახა ნატოს საბჭოს მომდინარე წლის მაისის ვაშინგტონის სესიის გადაწყვეტილებებში. ეს სესია უტიფრად მოიწვიეს სწორედ იმ დროს, როცა მიმდინარეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესია. ნატოს საბჭომ მიიღო შეიარაღების დამატებითი ზრდის უპრეცედენტო მასშტაბის გრძელვადიანი პროგრამა.

ეს მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ურთიერთობაში პოზიტიურ ცვლილებებს, რომლებიც მიღწეულია მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების დაუცხრომელი მოქმედების ფასად. ეს არის ხალხთა ნების ალუჩად აგდება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის მოწოდებათა მეცადინეობის შეგნებული უგულებელყოფა, სესიისა, რომლის შედეგები ახალ პერსპექტივებს უსახავს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და დაძაბულობის შენელების განმტკიცების შესახებ მოლაპარაკებებს.

მსოფლიო საზოგადოებრიობის მსაობრივი პროტესტებმა მიუხედავად, მილიტარისტულმა ძალებმა ხელი არ აიღეს ზრახვებზე შეუდგნენ ნეიტრონული იარაღის წარმოებისა და განლაგების. მათი მიზეზით არ იგრძნობა ძვრები სამხედრო დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფის შესახებ მოლაპარაკებებზე.

სულ უფრო სიშრეთ ხასიათისა ხდება იმპერიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის ძალების მოქმედება, რომელიც მიმართულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, დამოუკიდებელი სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და თავისუფალი განვითარების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით სამშიაა მთელი რიგი ქვეყნების ცდები გაიფართოონ ნატოს სამხედრო მანქანის გამოყენების გეოგრაფიული სფერო.

დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ გამოსული ძალები თავიანთ მოქმედებას ნიღბავენ პროპაგანდისტული კამპანიებით, რომლებიც ეწყობა საერთაშორისო მასშტაბით და მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის შუღლისა და უნდობლობის გაღვივებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ყურადღებას მიაპყრობს შექმნილი ვითარების სერიოზულობას. დგი მოუწოდებს დაიცვან დაძაბულობის შენელების მიღწევები და ხელი შეუშალონ „ცივი ომის“ ხანის დაბრუნებას — უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროებისათვის განუხრელი, ძლევამოსილი წინსვლა.

ამისათვის უწინარეს ყოვლისა ყველაფერი უნდა ვიღონთო, რომ იმათ, ვინც განსაზღვრავს „სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკურ ხაზს, ყურად იღონ ხალხთა ნება და ხელი აიღონ გამალებული შეიარაღების ახალი დაჩქარების გეგმებზე. უნდა მივაღწიოთ, რომ მათ პატივი სცენ თითოეული ხალხის უფლებას დამოუკიდებლად ირჩევდეს თავისი ქვეყნის განვითარების გზას.

განიარაღება მსოფლიო ბირთვული ომის თავიდან აცილების გადამწყვეტი პირობაა. განიარაღება მეტისმეტად საჭიროა იმ მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისთვისაც, **რომლებიც ბევრი ქვეყნის ხალხთა წინაშე დგას.**

მშვიდობისმოყვარე ძალებმა ძალუძთ ეფექტიანი ზემოქმედება მოახდინონ მსოფლიოში სამის მდგომარეობაზე. ამისათვის ხანასწორი უშიშროების, ნაცვალგებისა და ჯალდებულებათა ტოლფასობის პრინციპებს.

როცა სოციალისტური ქვეყნების წინადადებებს შეხვდა, ელჩმა ზ. ფიოდორომა ხაზი გაუსვა, რომ ისინი მთლიანად შეესაბამებიან აღნიშნულ ერიტერიუმებს. ისინი ითვალისწინებენ დასავლეთის ქვეყნების ახლანდელი პოზიციის **ბევრ არსებითს ელემენტს,** აგრეთვე სპეციალური სტატუსის მქონე სახელმწიფოთა ინტერესებს.

ასევსრულ უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა გამოთქვა იმედი, რომ დასავლეთის ქვეყნები მალე დადებით პასუხს გასცემენ სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდმნიშვნელოვან წინადადებებს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ „წეხროვის დამცველებს“, რომლებმაც დიდი ხანია „პოლიციის მუნდირიანი რახეხტების“ ხაძრახეხი სახელი მოიპოვეს, ფაქტიურად ჰრული უფლება აქვთ მინიჭებული ფიზიკურად გაუსწორდნენ და მოკლან კიდეც დაპატიმრებული ზანგები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲐᲮ როგორ უსწორდებიან დაპატიმრებულ ზანგს ᲑᲐᲠᲚᲘᲛᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲗ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 14 ივლისი. (ᲗᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ფინეთის პრემიერ-მინისტრმა კ. სორსამ დღეს მიიღო აქ ოფიციალურ ვიზიტად მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სხრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი. გამართა გულთბილი მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს.

იმავე დღეს საბჭოთა სტუმარი ეწვია ატომურ ელექტროსადგურს ქალაქ ლოვისის მახლობლად, რომელიც აშენებულია საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელმეწყობით, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოება „ნესტეს“ ნათითბგადამმუშავებელ ქარხანას.

ნაშუადღეს ფინეთის თავდაცვის მინისტრმი ტ. ტიაკკიმაამ დარბაზობა მოაწყო სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პატივსაცემად.

საღამოს დ. თ. უსტინოვი სამშობლოში გაემგზავრა. ჰელსინკის აეროპორტში იგი გააცილეს ფინეთის თავდაცვის მინისტრმა ტ. ტიაკკიამაამ, ფინეთის თავდაცვის ძალების მთავარსარდალმა გენერალმა ლ. სუტელამ, ფინეთის სხვა მხედართუფროსებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ფინეთში ჯ. ხ. სტეპანოვმა.

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲢᲘᲘᲗ

ᲜᲝᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ივლისი. (ᲗᲐᲙᲓᲔᲡᲘ). რასიტულმა „მართლმსაჯულებამ“ კვლავ აღმართა თავისი მახვილი ზანგი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დელბერტ ტიბსის წინააღმდეგ. მომდინარე წლის 11 სექტემბრისათვის დაინიშნა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ამ მამაცი მებრძოლის ახალი სახამართლო, მიუხედავად იმისა, რომ ფლორიდის შტატის უმაღლესმა სასამართლომ უსაფუძვლოდ ცნო 1974 წელს მისთვის გამოტანილი მკაცრი განაჩენი შეთითხნილი ბრალდებით მძიმე დანაშაულის გამო.

დ. ტიბსის ლინჩის დაკანონებული სასამართლოს ისტორიული ტიპიური და სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უსწორდება ამერიკელი თემიდა სხვაგვარად მოაზროვნეებს, ყველას, ვინც ხმა აიმაღლა ჩაგრულთა და უუფლებოთა დასაცავად.

...1974 წლის ზამთარში დ. ტიბსი ფლორიდაში ჩავიდა თავისი წიგნისათვის მასალების შესაგროვებლად. მისი ჩასვლა დაემთხვა შტატის ზანგი მოსახლეობის აქტიურ გამოსვლებს რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის წინააღმდეგ. ამ პერიოდში რასისტებს სჭირდებოდათ გახმაურებული „საქმე“, რომელიც ჩრდილს მიაყენებდა თანასწორუფლებიანობისათვის ზანგთა მოძრაობას. და აი, როცა 3 თებერვალს ქალაქ ფორტმაიერს მახლობლად ჩადენილ იქნა სისხლის სამართლის დანაშაული, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავი არ შეიწუხეს ნამდვილი დანაშავის ძებნით და მსხვერპლად აირჩიეს დ. ტიბსი, რომელიც დანაშაულის მომენტში იმ ადგილიდან 400 მილზე იყო, სადაც ეს დანაშაული მოხდა.

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲘ



ᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲕᲔᲜᲐ, (საკადისი). აქ გაამართა ცენტრალური ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგი პლენარული სხდომა. სხდომაზე გამოვიდა უნგრეთის დელეგაციის მეთაური ელჩი ზ. ფიოდორი.

როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში განაცხადა, უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა თავის გამოსვლაში გააანალიზა ნატოს ქვეყნების 19 აპრილს წინადადებანი და ოთხი სოციალისტური ქვეყნის—მოლაპარაკების უშუალო მონაწილეების ამა წლის 8 ივნისს წინადადებანი იმის მიხედვით, თუ როგორ შეესაბამებიან ისინი თანასწორი უშიშროების, ნაცვალგებისა და ჯალდებულებათა ტოლფასობის პრინციპებს.

როცა სოციალისტური ქვეყნების წინადადებებს შეეხო, ელჩმა ზ. ფიოდორმა ხაზი გაუსვა, რომ ისინი მთლიანად შეესაბამებიან აღნიშნულ კრიტერიუმებს. ისინი ითვალისწინებენ დასავლეთის ქვეყნების ახლანდელი პოზიციებს, აგრეთვე სპეციალური სტატუსის მქონე სახელმწიფოთა ინტერესებს.

ᲐᲮᲚᲐᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲕᲘᲔᲜᲐ, 14 ივლისი. ᲗᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ფინეთის პრემიერ-მინისტრმა კ. სორსამ დღეს მიიღო აქ ოფიციალურ ვიზიტად მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სხრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი. გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს.

იმავე დღეს საბჭოთა სტუმარი ეწვია ატომურ ელექტროსადგურს ქალაქ ლოვისის მახლობლად, რომელიც აშენებულია საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელმეწყობით, აგრეთვე სახელმწ-

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲢᲘᲘᲗ

ᲜᲝᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ივლისი. (ᲗᲐᲙᲓᲔᲡᲘ). რასიტულმა „მართლმსაჯულებამ“ კვლავ აღმართა თავისი მახვილი ზანგი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დელბერტ ტიბსის წინააღმდეგ. მომდინარე წლის 11 სექტემბრისათვის დაინიშნა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ამ მამაცი მებრძოლის ახალი სახამართლო, მიუხედავად იმისა, რომ ფლორიდის შტატის უმაღლესმა სასამართლომ უსაფუძვლოდ ცნო 1974 წელს მისთვის გამოტანილი მკაცრი განაჩენი შეთითხნილი ბრალდებით მძიმე დანაშაულის გამო.

დ. ტიბსის ლინჩის დაკანონებული სასამართლოს ისტორიული ტიპიური და სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უსწორდება ამერიკელი თემიდა სხვაგვარად მოაზროვნეებს, ყველას, ვინც ხმა აიმაღლა ჩაგრულთა

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲕᲘᲔᲜᲐ, (საკადისი). აქ გაამართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგი პლენარული სხდომა. სხდომაზე გამოვიდა უნგრეთის დელეგაციის მეთაური ელჩი ზ. ფიოდორი.

როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში განაცხადა, უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა თავის გამოსვლაში გააანალიზა ნატოს ქვეყნების 19 აპრილს წინადადებანი და ოთხი სოციალისტური ქვეყნის—მოლაპარაკების უშუალო მონაწილეების ამა წლის 8 ივნისს წინადადებანი იმის მიხედვით, თუ როგორ შეესაბამებიან ისინი თა-

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲓᲦᲔ“ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲗ

ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲐᲝ წლის აგვისტოში სსრ კავშირის სახელმწიფო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ — ქუთაისის საუკეთესო სამრეველო საწარმოები. სსრ კავშირის სტანდარტების [illegible] ინიციატივით აქ მოეწყობა „ქუთაისის [illegible] ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“-ზაცია გაიწყოს ქალაქში დაგროვილ დაფიბრთ გამოცდილებას. ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ [illegible]

ქუთაისელები ცდილობენ [illegible] წლედის, ეგგმა-ეალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ᲗᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ დამდეგიდან დავალების გადაჭარბებით დამზადებული და რეალიზებულია 41,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა ქალაქის სარეშეველო საწარმოთა 115 ნაწარმს, რაც მთელი დამზადებული პროდუქციის 21 პროცენტს შეადგენს. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘ პროდუქციის ნახევარზე მეტი დამზადებულია ს. ორჯონიკიძის სახელობის საკტომობილო ქარხანაში, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, ოქჯოს ფაბრიკაში, პურკომბინატსა და სხვა საწარმოებში, რომელთა მუშაობასაც უნარიანად წარმართავს პარტიის ქალაქკომთან შექმნილი ხარისხის მართვის შტაბი.

(საქინფორმი).

ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ „ᲤᲐᲣᲡᲢᲘ“

ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციული რესპუბლიკის რეჟისორი ჰერმან ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲜᲘᲡ ფედერალური თბილისში დგამს შ. გუნოს ოპერა „ფაუსტს“.

— დიდად მოხარული ვარ, რომ კვლავ ემუშაობ ქართველ კოლეგებთან თეატრში, რომელსაც ᲰᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲘ, საინტერესო რეჟისურა, ბრწყინვალე სცენოგრაფები, — თქვა რეჟისორმა, მე შემთხვევით როდი ავირჩიე „ფაუსტი“. აქ დასმული პრობლემები დღესაც აქტუალურია. გვსურს, რომ ჩვენმა სპექტაკლმა ადამიანებს განუმტკიცოს პოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენა.

Ვ. ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲜᲘᲡ პირველად როდი მიმართავს გოეთეს შემოქმედებას. მის მიერ დადგმული ოპერა „ფაუსტი“ წარმატებით გადიოდა ბონის, ბაზელის, ნანსის თეატრების სცენებზე.

ახალი ერთობლივი ნამუშევარი სპექტაკლი „ფაუსტი“, რომლის პრემიერა ახალი სეზონის დამდეგს გაიმართება, უეჭველად ერთ ახალ გვერდს ჩაწერს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თეატრალურ კულტურათა მეგობრობის ისტორიაში.

(საქინფორმი).

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲛᲘᲔᲖᲚᲝᲗ

ᲬᲘᲜᲐ კვირაში მოსკოვში გაიმართა ორი სასამართლო პროცესი, რომელთა დაწყების შესახებ უკვე იუწყებოდა საბჭოთა პრესა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ განიხილა უცხოეთის დაზვერვის აგენტის ა. ნ. ფილატოვის სისხლის სამართლის საქმე. რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მოისმინა ა. ბ. შჩარანსკის სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ბრალად ედება სამშობლოს ღალატი ჯაშუშობის ფორმით, საზღვარგარეთის სახელმწიფოსათვის დამზარეგა სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში და ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის განხორციელებაში.

ორივე საქმის გამო გამოტანილია განაჩენი. დამნაშავეებს — სამშობლოს მოღალატეებსა და ჯაშუშებს დამსახურებისამებრ მი ᲗᲦᲝᲗ. ფილატოვს მიესაჯა დახვრეტა, შჩარანსკის — 13 წლის თავისუფლების აღკვეთა.

რამდენიმე დღის მანძილზე საბჭოთა უმაღლესი სასამართლო ინსტანციები სწავლობდნენ, იხილავდნენ და შეფასებას აძლევდნენ სისხლის სამართლის საქმეთა ათობით ტომს, მრავალრიცხოვან ნივთიერ მტკიცებულებებს, ექსპერტთა დასკვნებს, ისმენდნენ მოწმეთა ჩვენებებს. ორივე სასამართლო გარჩევის დროს მიღებული ყველა მონაცემი მოწმობდა ერთსა და იმავეს: განსასჯელის სკამზე ამ დღეებში ისხდნენ არა უბრალოდ ცდომილების მსხვერპლნი და არა შემთხვევით გზას აცდენილი ადამიანები, არამედ საბჭოთა სასამართლო ასამართლებდა დამნაშავეებს, რომლებმაც ძალიან კარგად იცოდნენ რას აკეთებდნენ.

ფილატოვი უცხოეთის ერთ-ერთმა დაზვერვამ გადაიბირა იმ დროს, როცა სამსახურებრივი მივლინებით იყო საზღვარგარეთ. იგი სისტემატურად აგროვებდა და საზღვარგარეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებს გადასცემდა მნიშვნელოვან ცნობებს, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფოა და სამხედრო საიდუმლოების შეადგენდნენ. იგი სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც განაგრძობდა ჯაშუშობას. დამქირავებლებმა თავისი აგენტი მოამზადეს ყველა საჭირო საჯაშუშო ხელსაწყოებით, შიფრებით, სპეციალური აპარატურით, რაც გათვალისწინებული იყო საიდუმლო ინფორმაციის შეგროვების, დაცვისა და სადაზვერვო ცენტრში გადაცემისათვის. ყოველივე ამას ფილატოვი ფართოდ იყენებდა.

ფილატოვს „სამსახური“ ცუდად როდი აუნაზღაურეს. იგი იღებდა დიდ თანხას უცხოური ვალუტით, ათიათასობით საბჭოთა მანეთსა და ოქროს მონეტებსაც.

ფილატოვის საქმის გარჩევისას მოსამართლეები იხილავდნენ და სწავლობდნენ არა მარტო თვით მის დანაშაულს, არამედ ამ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსაც, სერიოზულად გააანალიზეს ის გზა, რომელმაც ადამიანი უმძიმეს დანაშაულამდე მიიყვანა — ჩაადენინა სამშობლოს ღალატი. პროცესის დროს სულ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ფილატოვის პორტრეტი — მეტისმეტი თავდაჯერება, პატივმოყვარეობა, შური, გამომძალველობისადმი მისწრაფება, მორალური გახრწნილება.

ყველა მოღალატის ანატომია, როგორც წესი, ერთნაირია. ამ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ადასტურებს იმ გზების დაპირისპირება, რომელმაც განსასჯელთა სკამზე დასვა ორივე დამნაშავე. შჩარანსკის შემთხვევაშიც იმავე სურათის ვხედავთ — უზომოდ დიდი წარმოდგენა თავის თავზე, იგივე პატივმოყვარეობა, განდიდებისადმი, გამდიდრებისადმი მისწრაფება. პირველ ხანებში ამას მოჰყვა ცდა პოპულარობა მოიპოვებინა დასავლეთის ქვეყნების გარკვეულ წრეებში, რომლებიც მოხარული არიან, თუ ანტისაბჭოთა აურზაურის გაზვიადების რაიმე საბაბს იმოვნიან. შჩარანსკი და მისი თანამზრახველები — გამოიძახნა რამდენიმე ასეთი ადამიანი — თითხნიდნენ ღვარძლიან პასკვილებს, რომლებშიც თავხედურად და უტიფრად სწამებდნენ ცოლს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებას. მათ არ სცხვენოდათ თვითრი შავად გაეყალბებინათ, დაესახელებინათ ყალბი მისამართები, ცილისმწამებლური განცხადებებზე, წერილებზე, მოწოდებებზე მოეწერათ იმ ადამიანთა სახელები, რომლებსაც თვალითაც არ უნახიათ ეს ნაჯღაბნი.

ანტიკომუნისტებმა და დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც არცთუ ისე ცოტანი არიან დასავლეთში, სიხარულით აიტაცეს შჩარანსკის ღვარძლიანი მონაჩმახი, ფართოდ გამოიყენეს იგი ანტისაბჭოური, ანტიკომუნისტური პროპაგანდისათვის. ამავე დროს შეეცადნენ მატყუარა და ცილისმწამებელი გადაექციათ „ჩაგული საბჭოთა ადამიანების უფლებებისათვის მებრძოლად“.

შჩარანსკისაც სწორედ ეს უნდოდა. საქმე ის არის, რომ მან უკვე დიდი ხანია გადაწყვიტა დაეტოვებინა სამშობლო და დასავლეთში წასულიყო. მაგრამ ვის სჭირდება იქ ინვინრის დიპლომიანი გამოუცდელი სპეციალისტი, როცა თვითონვე ათასობით დიპლომიანი უმუშევარი ᲰᲐᲥᲐᲕᲗ? შჩარანსკი არც ისე სულელი იყო, რომ ეს ბრ სცოდნოდა. დასავლეთს სჭირდებოდა „საზოგადო მოღვაწე“, და მოღალატე იჭეტეზოდა ასეთად წარსდგომოდა თავის უცხოელ პატრონებს. ღალატის ლოგიკამ „საზოგადო მოღვაწე“ და „ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი“ კანონზომიერად მოახვედრა სპეცსამსახურის კლანჭებში, ჩვეულებრივ ჯაშუშად აქცია იგი. შჩარანსკიმ გაიმეორა ნებისმიერი მოღალატის გზა. მოღალატის ბედი არც შეიძლება სხვანაირი იყოს.

შჩარანსკიმ და დასავლეთის ერთ-ერთმა სადაზვერვო სამსახურმა სწრაფად იპოვეს ერთმანეთი და უფრო სწრაფად გამოძებნეს საერთო ენა. ისინი აწყობდნენ კონსპირაციულ შეხვედრებს, საზღვარგარეთიდან ერთ-ერთი საელჩოს დიპლომატიური ფოსტის საშუალებით იგზავნებოდა ინსტრუქციული წერილები, შემდეგ კი ყველაფერ ამას მოჰყვა გასამრჯელოც. როგორც საბჭოთა ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲐᲜᲘᲡ, შჩარანსკი რეგულარულად იღებდა საზღვარგარეთიდან ფულს.

შჩარანსკი ამრავდა და თავისი თანამზრახველების საუალებით აგროვებდა საიდუმლო ინფორმაციას ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲡᲚᲝᲙᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა. Გ. ᲐᲐᲖᲝᲕ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲦᲘᲐᲡᲗᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ, ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ, ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ, ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲥᲕᲡ Ი

ჩვენი გნეობრივი ფასეულობანი

როკრაძეზი ნარ, აკრაძიანო!

ნარკვევი

მთელი კვირაა, სოფელში ქრის ნისლიანი ქარები. დროდადრო ცრის, გაბმით, უსიხარულოდ. ადამიანებების მოლოდინში გული დაელია დიდსა და პატარას.

სარკმელთან მიმდგარი ბიჭი, ვინ იცის, მერამდენედ წმენდდის შეორთქლილ მინას.

— ნეტა კიდევ არ ამოვიდა ის ავტობუსი, ჰა?

— ამოვა, გენაცვალოს ბებო, ამოვა, მაშ რა მოუვა!

— დედა რომ არ ამოიყვანოს?

— ამოიყვანს, გეთაყვანე, ამოიყვანს. მაგრამ შენ თუ პირი არაფერს დაიკარე, ხომ გული დაწყდა იქრე გალეტულს რომ დაგინახავს?

ბიჭი სარკმელს შორდება და ოთახში დაბორიალობს. ეს მესამე დღეა, ლოდინით დაიტანჯა.

— ხომ ლამაზია, ბებო, ჩემი დედა? — ეკითხება, ალბათ, მეათასედ. თანხმობას რომ მიიღებს, ხუმდება და კმაყოფილი თავისთვის რაღაცას ფიქრობს.

ბებიამისიც, თავის საფიქრალს ეძლევა, მაგრამ როგორს? ღმერთმა ყველა დაიფაროს იმგვარი საფიქრალისაგან. რამდენი ღამეა, მის თვალს ძილი არ ეკარება, ბიჭის გვერდით თვალგახელილი წევს გულალმა, ჭერზე თვალებმიშედებული.

ბიჭი რომ ელოდება, ის ქალი მისი დედა არ არის. დედამისი სოფლის ბოლოს, პატარა სასაფლაოზე წევს. შავარიაშემოვლებული სურათი ერთი წელი ეკიდა ბიჭის სასთუმალთან. მაგრამ ის მაშინ სულ პატარა იყო და ალარ ახსოვს.

სამი წლისა იყო, პირველად დედა რომ მოიკითხა... ბებიამისი აივანზე იჯდა, ჩამავალი მზით განათებული ეზოდან ბიჭის კისკისი ისმოდა. უეცრად ბავშვი ტოლებს მოსწყდა და სახლისკენ გამოიქცა. გულამოვარდნილმა ამოირბინა კიბე და ბებიამისს მუხლებზე მოეხვია:

— ბებო, ჩემი დედა სად არის, ჰა?

რახანია ქალი ამ შეკითხვას ელოდა და ცრემლსა და ვაებაში პასუხს ამზადებდა. მაგრამ ახლა თითქოს მოულოდნელობის ზაფრა დაეცა! შუბლზე ჩამოშლილი კულულებიდან დიდი, თაფლისფერი თვალები დაჟინებით, მოუთმენლად უცქერდნენ. პატარა გული გამალებით ძგერდა, ბებო მუხლისთავებით გრძნობდა მის ფართხალს. ეს ბიჭი იყო მისი სიცოცხლის ერთადერთი აზრი და გამართლება. განა შეეძლო ამ მომლოდინე თვალებისათვის, ამ გაბრწყინებული სახისათვის ეთქვა — დედა არ გყავსო? განა შეეძლო მას, თვითონ, თავისი სულისდგმისათვის ასე პირდაპირ, ასე დაუნდობლად გამოეტანა ობლობის განაჩენი?

და ქალს ეყო სიმისო ძალა, რომ გაეღიმა, აკანკალებული ხელი გაოფლილი ქოჩორი გადაეწია და ეთქვა: შენი დედაკო ავად არის, ქალაქშია, ექიმები მოარჩენენ და ჩამოვალ.

ბიჭის მამა — ქალის სიძე ზმირად ამოდიოდა ქალაქიდან. ბავშვს მუხლიდან არ იცილებდა, ეფერებოდა, ესიყვარულებოდა. შვილის შეკითხვაზე ახლა ისაც უპასუხებდა — დედა მორჩება და ჩამოგიყვანთ. მერე ქალაქში ბრუნდებოდა და ბებია და შვილიშვილი კვლავ მარტონი რჩებოდნენ. თვე თვეს მისდევდა, წელი-წელს.

ერთხელ, მამა რომ ამოვიდა, ის და ბებო დიდხანს იყვნენ ოთახში ჩაკეტილები. მერე ბიჭს დაუძახეს და მამამ უთხრა, ერთ კვირაში დედა ჩამოვალო...

ბიჭი გაბედავდა, სუნთქვა შეეკრა, გული ისე აუძგერდა, რომ ყურებში დაუწყო რეკვა.

დედა ჩამოვა! — ბოლო ელოდება უსასრულო, მტანჯველ მოლოდინს. დედა ჩამოვა! — რა მოულოდნელი იყო ეს ამბავი ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ!

ბავშვი ერობამად ადგილს მოსწყდა და გარეთ გავარდა. გულამოვარდნილი მირბოდა შუკებში, გზადაგზა ჭიშკრებთან ჩერდებოდა და ყვიროდა: თამრო ბიცოლა, მართა ბებო, დედა ჩამოდის, ჩემი დედა...

მამა იმ ღამესვე გაბრუნდა ქალაქს. საღამოს სახლი ნათესავ-მეზობლებით აივსო. ისინი სასტუმრო ოთახში ისხდნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ბიჭი რომ ოთახში შეავიდოდა, საუბარს შეწყვეტდნენ, ერთმანეთს გადახედავდნენ და ბავშვს უცნაური, სევდიანი გულმხურვალებით ეფერებოდნენ. მაგრამ ის ვერც ამ სევდიანობას ამჩნევდა და ვერც იმ მრავალმნიშვნელოვან გადახედვა-გადმოხედვას. ბიჭს ამისათვის არ ეცალა. ის ბედნიერი იყო. ბედნიერი ღიმილი ძილშიც დაჰფარფატებდა სახეზე. როცა ბებიამ ნაგვანევი სტუმრებიც გაიცილა და საძინებელში შევიდა, დიდხანს დაჰყურებდა ბიჭის ფერმკრთალ სახეს, მაღალ შუბლს, ორი ბორცვი რომ აჩნდა, პატარა მოზეერივით, ძილში უღიმოდ გადაყრილ ვამხდარ მკლავებს.

როგორ ჰგავდა ბიჭი თავის დედას! ბავშვობაში ისიც ასე ფერმკრთალი იყო. ზოგჯერ, მძინარეს რომ დახედავდა, ქალს გულზე შიში შეეკიდებოდა. ქმარი აშშვდებდა — ქალო, გული დაიწყნარე, წამოიხრდება ეგ ჩვენი გოგუნა და შენსავით დასრულდება, ვერა ახედავ, ორი წვეთი წყლივით ჰგავხართ ერთმანეთსო?

ქალს იმ ღამის ლოგინი არ აუშლია. ფიქრობდა და ფიქრობდა. იხსენებდა თავის ცხოვრებას, რომელიც ასე ბედნიერად დაიწყო ამ სახლში დიდი, დიდი ხნის წინათ. ეს ხის კიდლები ახლაც ინარჩუნებდა გარდასული დღეების მხიარულ ეკოს.



ჩვიდმეტი წლისა იყო. ამ ზღურბლს პირველად რომ გადმოაბიჯა. სოფელში ლამაზ პატარძალს ეძახდნენ, მის დედამთილს შენატროდნენ ცოლსათხოვი ვაქების დედები. მაგრამ სილამაზეზე უფრო დედამთილ-მამამთილს რძლის თვინიერი და ალერსიანი ბუნება ახარებდათ. ქმარიც ზუსტად თავისნაირი შეხვდა — დამყოლი და ალერსიანი. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ეს სიყვარული წლების მანძილზეკი არ იკლებდა, მატულობდა.

ხომ შეგიმჩნევიათ — ანდამატის ძალა აქვთ ასეთ ოჯახებს. როგორც თაფლს ბუზი, ისე ეხვევა სტუმარი და მოკეთე. ადამიანებს მიეხარბოთ შეხმაკბილებული ოჯახის ერკვეულ, რადგან მოსიყვარულე გულების სითბო იმათაც უობობს გულს, იმათაც აცისკროვნებს სხვისი ბედნიერების ათინათი.

ერთადერთი სადარდებელი მხოლოდ ის ჰქონდათ, რომ შვილი არ ჰყავდათ. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ბუნებამ ეს სიბარულიც უბოძა. ასე ხომ ცოლქმარს ბედნიერებით ცის უწვდებოდა ხელი.

ეს იყო და ეს. მეტი შვილი აღარ შეძენიათ და თავისი გულის მთელ მხურვალეს, ზრუნვისა და ამაგის დაულეველ მარაგს ამ ერთადერ გოგოს ანმარხენენ.

...ახლა ქალი ისე იგონებდა ამ წლებს, როგორც განუწყვეტელი ზეიმის დღეებს. რა სიხარულით ბზრიალებდა თავის პატარა ოჯახში დილიდან საღამომდე რეცხავდა, ხეხავდა, კერავდა, ამრიალებდა. საღამო ხანს, ქმარი რომ სამუშაოდან დაბრუნდებოდა და გაკრიალებული ეზო-სახლი, ოთხინასავით მორთული გოგონა და ბუხართან მოფუსფუსე დისასხლისი დახვდებოდა, ცოლს ისეთი თვალებით შეხედავდა, რომ ქალს ფრთები ესხმებოდა.

ერთხელ ქმარმა, ამხანაგები მოიყვანა. დისასხლისი დატრიალდა, გახურებულ ქვაბებე ლობიანები და ხაჭაპურები დააცხო, ვარიები დაალო და სუფრის გაშლას შეუდგა. ქმარი უყურებდა, ოოლ, ეს ... ...